სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/129

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე ვახტანგ უგრეხელიძის სახელობის ქიმია-ბიოლოგიის შაბათის სკოლის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის სხდომის #16 ოქმის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, გიორგი ქვარცხავას სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციისა და შემეცნებით-პოპულარული პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით ქიმია-ბიოლოგიით დაინტერესებული მოსწავლეების ხელშეწყობის მიზნით, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე შეიქმნას ვახტანგ უგრეხელიძის სახელობის ქიმია-ბიოლოგიის შაბათის სკოლა.
2. მოწონებული იქნეს შაბათის სკოლის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი სკოლის დებულება და ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში.
3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**